საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იესე ქსნის ერისთავი

იესე ქსნის ერისთავი (გ. 1745), XVIII ს. I ნახევრის პოლიტიკური მოღვაწე. 1736–41 თავის ძმასთან, შანშე ქსნის ერისთავთან ერთად მეთაურობდა ქსნის საერისთავოს აჯანყებას ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. აჯანყების დამარცხების შემდეგ ირანში გაიწვიეს და ნადირ-შაჰის ბრძანებით დააპატიმრეს.

1745 საქართველოში მომავალი გზაში გარდაიცვალა.

ლიტ.: გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. აკოფაშვილი